

რესპუბლიკის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ, მხატვრულ-
არქიტექტურული ანალიზი



თბილისი


2016


ტერიტორიას, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, რთული ურბანული განვითარების ისტორია აქვს და ქ. თბილისის ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ ადგილს წარმოადგენს. დღევანდელ დღემდე ის არაერთგზის გადაკეთებულა, თუმცა დღეის მდგომარეობით მისი განვითარების ისტორია კვლავაც გრძელდება. თუმცა სანამ უშუალოდ კონკრეტული საკითხის განხილვაზე გადავალთ, საინტერესო იქნება მისი განვითარების ისტორიისთვის თვალის გადავინება.

ისტორიული ექსკურსი

აღნიშნული კვარტალი თბილისის გარეთუბანს წარმოადგენდა, რომელიც რელიეფს მორგებული განაშენიანებით ხასიათდებოდა. საარქივო რუკებზე, ნათლად იკითხება კვარტალი, მცირე ზომის ქუჩებითა და სახასიათო ურბანული სტრუქტურით.

1867 წლის ქალაქის გეგმის მიხედვით, კარგად იკითხება კვარტლის ურბანული ქსოვილი. აქვე პირველად ჩნდება, რთული “დატეხილი” გეგმის მქონე საფოსტო ოფისის მმართველის კანცელარიისა და ფოსტის სადგურის ნაგებობა, მაშინდელი ლაბორატორიული // ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის შეერთების ადგილზე /რუკაზე №99/, რომელსაც ქალაქგეგმარებითი დატვირთვაც მიეცა – მის ფორმას ახალი – ოლღას ქუჩის გაჩენა მოჰყვა /რუკაზე №5/, რომლის გარკვეული ნაწილიც, მოგვიანებით, გოლოვინის პროსპექტის გაგრძელებად იქცა





1913 წელს დაიწყო საკმაოდ მასშტაბური მელიქ აზარიანცის სახლის მშენებლობაც, რომელიც შეერწყა და ორგანულად ჩაეწერა არსებულ განაშენიანებაში. მან დომინანტის ფუნქციაც იკისრა, როგორც მხატვრულ-არქიტექტურული, ასევე სივრცობრივი თვალსაზრისით. ის ოლქის მმართველის კანცელარიის შენობის, ერთგვარ გამოძახილად იქცა, რომელმაც შეკრა მიკროკვარტლის კუთხეები და დასრულებული სახე მისცა მას.



განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული განაშენიანების უკანა, ამჟამინდელი მოედნის სახე, რომელიც საარქივო რუკების მიხედვით, ნაწილობრივ ერთიან სივრცეს წარმოადგენდა. მასზე არ იკითხება ქუჩათა ქსელი, 1867 წლის რუკაზე ის ნაწილობრივ გამწვანებულია (სურ.1).

თუმცა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიგემა უბნისა და კონკრეტული მონაკვეთის რეკონსტრუქცია, რომელიც არსებული გარემოს მარტივად რომ ვთქვათ “შეცვლას” ითვალისწინებდა. თუმცა სწორედ აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში დაირღვა მოკროუბნის ავტენტურობა, რის შედეგადაც მელიქ აზარიანცის სახლი, ურბანული კონტექსტიდან ერთგვარად ამოგლიჯა.

ზემოხსენებული რეკონსტრუქციისას მოცემულ მიკროუბანში განადგურდა რამდენიმე ისტორიულად ღირებული ნაგებობა (მათ შორის, ზემელის აფთიაქი) ოლქის მმართველის კანცელარიის და ფოსტის შენობები. მეტიც, გარდა კონკრეტული შენობებისა, ურბანულმა სტრუქტურამ იცვალა სახე. აღნიშნულ მიკროკვარტალში ერთიანი, საკმაოდ დიდი სივრცე შეიქმნა, დომინანტი ვერტიკალური მახვილებით. მათ შორის მნიშვნელოვანი დატვირთვა სასტუმო „ივერია“-ს მრავალსართულიან შენობაზე გაკეთდა (არქ. ო. კალანდარიშვილი, ი. ხომელიძე 1967წ). 20 სართულიანი ნაგებობა, ერთგვარი „მარიენტირებლის“ ფუნქციას ითავსებს. ის კარგად აღიქმევა როგორც სანაპიროს, ასევე რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პლატოს მხრიდან და ერთგვარ ვერტიკალურ მძლავრ მახვილს წარმოადგენს. სასტუმრო „ივერია“-ს შენობამ, ერთგვარად განსაზღვრა რესპუბლიკის მოედნის ამჟამინდელი სახეც.

ამ მასშტაბურმა პროექტმა, – თბილისისთვის აღლუმების ჩასატარებელი მოედნის გაჩენამ, შეიწირა ვერის დაღმართის განაშენიანების მნიშვნელოვანი ნაწილი და ისტორიული ქალაქისთვის შეუსაბამო ურბანული სივრცე – რესპუბლიკის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია მოგვცა. მოედანი, რომელიც თავისი ღია, მორღვეული სივრცით სრულიად შეუსაბამოა თბილისისთვის, მოკლებულია ინტიმურობას და არ ითვალისწინებს ადამიანურ მასშტაბს. ამისთან სრულიად დაკარგული აქვს საპარადო მოედნის ფუნქცია და იშვიათად ხდება ქალაქში ჩატარებული ღონისძიებების ეპიცენტრი. ამდენად,

სოციალურ ფუნქციას მოკლებული ეს სივრცე არ გახდა ურბანულად ათვისებული ადგილი. სამუშაების ფარგლებში ფაქტიურად „გაშიშვლდა“ თავად აზარიანცის სახლის ეზო მოედნისკენ და მას მონუმენტური დეკორატიული შეიღთაღედი ჩამოაფარეს, რომლითაც შენობის ეზო იზოლირებულ იქნა მოედნის ექსტერიერისგან.

თავად რესპუბლიკის მოედანის დაგეგმარება, ვერტიკალური მახვილებისა და სივრცითი მოცულობების გააზრებით შეიქმნა, რომელთა შორისაც, დაუსრულებელი პროექტი „თაღედის სამრეკლო“ გარკვეულ როლს თამაშობდა. მოედანს, როგორც ერთგვარ „შემკვრელი რგოლს“ უნდა ემუშავა როგორც მრავალრიცხოვან დღესასწაულებზე – აქ ხალხის საკმაოდ დიდი რაოდენობა იკრიბებოდა, და ამავდროულად ერთგვარი სატრანსპორტო მაგისტრალის როლი უნდა ეტვირთა.





თუმცა აღნიშნული მოედანი, არასდროს ყოფილა ხალხის თავშეყრის ადგილი. სატრანსპორტო გამჭოლი მაგისტრალი, უხვი ნაკადის გამო ვერასდროს იღებდა ქალაქგეგმარებითად კლასიკური მოედნის ფუნქციას. მეტიც მოედნის მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე განთავსებული შენობები, ერთმანეთისგან გათიშულებიც არიან. დროთა განმავლობაში იყო რამოდენიმე მცდელობა, რათა მოედნისთვის ერთგვარი ინტიმურობა მიენიჭებინათ. მათ შორის არსებულ სივრცეში მასშტაბური ძეგლის დადგმა იყო (დავით აღმაშენებელი ავტ. მ. ბერძენიშვილი) თუმცა სკულპტურამ ვერ შეკრა საკმაოდ დიდი ზომის უთავბოლოდ გახსნილი სივრცე, რის გამოც თავად ძეგლის მხატვრულ არქიტექტურული ფასეულობა დაკნინდა. მოედანზე განთავსებული შადრევანი, გამჭოლ სივრცეში სრულიად უფუნქციო აღმოჩნდა, მასზე მეტნაკლებად გამართლებული მასიურ დღესასწაულებზე მოწყობილი სცენა იყო.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, მოედნის ქვეს განთავსებული საკმაოდ დიდი სივრცე, რომელიც აბსოლუტურად უფუნქციო, დღეის მგომარეობით ნაგავსაყრელად არის ქცეული




საპროექტო მონაკვეთი

რეკონსტრუქციის შემდეგი ეტაპი, XXI საუკუნის დასაწყისში, 2005 წელს განხორციელდა. დაიგეგმა რესპუბლიკის მოედნის პროექტის შეცვლა, ვინაიდან იგი თავისი საერთო “კორიდორული” ხასიათის გამო, ვერ შედგა როგორც მოედანი, და მოხდა ადლუმებისთვის მოწყობილი აბსტრაგირებული თაღების სისტემის დემონტაჟი. განხორციელდა ყოფილი სასტუმრო “ივერიის” შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც სასტუმრო „რედისონით“ შეიცვალა. 2013 წელს დასრულდა ტრიბუნის ადგილას ახალი მოცულობის მშენებლობა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სასტუმრო რედისონის წინ მცირე სკვერი, და კაფე მოეწყო, მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა, მოედანი კვლავაც უფუნქციო, ყოველგვარ ინტიმურობას მოკლებული ღია სივრცეს წარმოადგენს.



სასტუმრო „რედისონი“, თავისი დატვირთვითა მომსახურებით, ქალაქის წარმატებულ სასტუმროთა სამეულშია შესული. თუმცა მიუხედავად ამ წარმატებისა, დღემდე მოსაწესრიგებელია შენობის მიმდებარედ ინფრასტრუქტურა.



რეკომენდაცია

წარმოდგენილი პროექტი, სასტუმრო „რედისონის“ წინ არსებული სივრცის კეთილმოწყობას გულისხმობს. ამჟამად აღნიშნული მონაკვეთი შემოსაზღვრულია და მასში პარკინგია განთავსებული, ცხადია დღის წესრიგში მისი მოწესრიგება დგას. შესაბამისად აღნიშნული პროექტის განხორციელება დასაშვებია შემდეგი რეკომენდაციებს გათვალისწინებით:

- უმთავრესად გასათვალისწინებელია მონაკვეთის სენსიტიური მდებარეობა, ის ფაქტიურად მოედნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს;
- დაუშვებლად მიგვაჩნია, აღნიშნულ მონაკვეთში რაიმე სახის ნაგებობის გაჩენის;
- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნულ მონაკვეთში სარეკრეაციო ზონის მოწყობა, რომელიც თავს მოუყრის, „შეკრავს“ სივრცეს;
- ვფიქრობთ მნიშვნელოვანია მოედნის განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავება, სადაც მრავალდისციპლინარულად იქნება წარმოდგენილი მისი განვითარების პერსპექტივები. შესაბამისად აღნიშნული მონაკვეთი მისი ერთ-ერთი კომპონენტი იქნება.



ხელოვნებათმცოდნე : თ. ღვინერია